



22.09.2014

არასამთავრობო ორგანიზაციები: მერიამ ქალაქის მწვანე საფარის დაცვაზე უნდა იზრუნოს



ახალი ამბები

თეი კანაშვილი

შეუერთდი განხილვას



არასამთავრობო ორგანიზაციები თავისუფლების მოედანზე ხეების გადაბეღვასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ, რომელსაც „ლიბერალი“ უცვლელად გთავაზობთ:

ამავე თემაზე

პუშკინის სკვერში ჭადრის ხეებს ჭრიან (ვიდეო)

გიორგობიანი: ხეების გადაბეღვის მოთხოვნით დემონტაჟით დაკავებულმა კომპანიამ მოგვმართა

„მწვანე საფარი, განსაკუთრებით კი დიდი ხეები, მეტად მნიშვნელოვანია ქალაქში ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს უზრუნველსაყოფად. გარდა ვიზუალური მხარისა, ხეები ამცირებენ ქალაქის ჰაერში მავნე ნივთიერებებისა და ნაწილაკების კონცენტრაციას, ხოლო ზაფხულის თვეებში - ტემპერატურას მიმდებარე ტერიტორიაზე. ხეები ქარისა და ნიაღვრის შემაკავებელ ფუნქციასაც ასრულებენ. ყოველივე ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თბილისში, სადაც ზაფხულის თვეები განსაკუთრებით ცხელია, ხოლო ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი - მაღალი (ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობისა და საწვავის ხარისხის კონტროლის არასებობის გამო).

ხეების ფორმირება, რაც ტოტების ნაწილის (როგორც წესი, გამხმარი და დაზიანებული ტოტების) მოჭრას გულისხმობს, ჩვეულებრივი პროცედურაა, რომელიც მწვანე საფარის მოვლის მხრივ მსოფლიოს მოწინავე ქალაქებშიც ხშირად გამოიყენება. ამისგან განსხვავებით, ხეების გადაბეღვა (რაც ხის გარკვეულ სიმაღლეზე გადაჭრას ნიშნავს) მცენარის განვითარებაში რადიკალურ ჩარევას გულისხმობს და იმავე მისაბამ ქალაქებში იშვიათად გამოიყენება ან სულაც აკრძალულია. ამის მიზეზი ის არის, რომ ხეების გადაბეღვას მთელი რიგი უარყოფითი შედეგები აქვს, ხოლო მისი სარგებლიანობა მეტად საეჭვოა. გადაბეღვის პრაქტიკის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ახალმა უფროსმა ბიძინა გიორგობიანმაც გამოხატა ჟურნალ „ლიბერალში“ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ [ინტერვიუში](#).

ასევე, აღსანიშნავია, რომ რადგანაც ხეების გადაბეღვა, როგორც წესი, ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდება, საბიუჯეტო სახსრების უყარათო ხარჯვაზე და კორუფციის საფრთხეზეც კი შეიძლება საუბარი.

ამდენად, თუკი ხეების გადაბეღვა თბილისში საერთოდ იქნება დაშვებული, ის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს გამოყენებული და ეს შემთხვევები შესაბამის კანონმდებლობაში უნდა იყოს გაწერილი. სამწუხაროდ, უკვე მრავალი წელია თბილისში ხეების გადაბეღვაც და ზოგადად მწვანე საფარის მართვაც სრულიად ქაოტურად და გაუაზრებლად, ერთიანი გეგმისა და სტანდარტების გარეშე ხორციელდება. შედეგად, მუდმივად მცირდება ქალაქის მწვანე საფარი, ხოლო დარჩენილი მცენარეების მდგომარეობა სავალალოა.

ცალკე გამოყოფას იმსახურებს სამშენებლო სამუშაოების დროს ქალაქის მწვანე საფარის დაცვის პრობლემა. თბილისში ხშირია ამა თუ იმ ობიექტის მშენებლობისას მიმდებარე ტროტუარზე არსებული ხეების გადაბეღვა ან მოჭრა მიუხედავად იმისა, რომ ტროტუარი და ხეები, ცხადია, ამ მშენებლობების მწარმოებელი კომპანიების საკუთრებას არ წარმოადგენს. ამავე დროს, ასობით დიდი ხე შეეწირა თავად ქალაქის ხელისუფლების მიერ ბოლო წლებში წარმოებულ სამშენებლო თუ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებსაც, რომელთა დაგეგმვის პროცესში მწვანე საფარის შენარჩუნების აუცილებლობა გათვალისწინებული არ ყოფილა.

ამგვარი გაუაზრებელი და თვითნებური გადაწყვეტილებები განსაკუთრებით დაუშვებელია, როდესაც საქმე თბილისის ცენტრალური მოედნის იერსახეს ეხება. მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, ხეების გადაბეღვა ყოფილი ცეკავშირის შენობის დემონტაჟით დაკავებული კომპანიის მოთხოვნით მოხდა, რადგანაც მათ გამოცლილი ქონდა საყრდენი ერთი მხრიდან და არსებობდა მათი წაქცევის საფრთხე. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ აშკარაა ქალაქის კუთვნილი ხეების დაზიანება კერძო კომპანიის მხრიდან და აუცილებელია, რომ მერიამ, ერთი მხრივ, სათანადო სანქციებს მიმართოს ამ კომპანიის წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი რაც შეიძლება სწრაფად დაამტკიცოს წესები, რომლებიც მსგავსი სამუშაოების დროს ქალაქის მწვანე საფარის დაცვას უზრუნველყოფს.

მოვუწოდებთ თბილისის მერიას, რომ შეწყვიტოს ან მინიმუმამდე შეამციროს ქალაქში ხეების გადაბეღვის პრაქტიკა და უზრუნველყოს ხეების ფორმირების განხორციელება მხოლოდ სათანადო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც შესაბამისი ნორმატიული აქტით იქნება დამტკიცებული.

ასევე მნიშვნელოვანია ზედამხედველობა კერძო დეველოპერების საქმიანობაზე სამშენებლო სამუშაოებისას თბილისის მწვანე საფარის დაცვის მიზნით. ეს ნაბიჯები მით უფრო ლოგიკური იქნებოდა თბილისის ახალი მერის წინასაარჩევნო დაპირებების გათვალისწინებით".


„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

მწვანე ალტერნატივა

პარტიზანული მეზაღეობა თბილისში


ტფილისის ჰამქარი

უსაფრთხო სივრცე



Also post on Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

 **Manana Tabatadze** · Top Commenter · Georgian Technical University

ალბათ ადგილი თავისუფლდება მილიონი ხის დასარგავად!!!

[Reply](#) · [Like](#) · [Follow Post](#) · September 23 at 8:00pm

Facebook social plugin

 **სილკ** TV

ამერიკის ინტერნეტ აკადემიის

დაიმათე Silk TV და მიიღე 3 თვის სააბონენტო ხარჯვრად!

2 100 100